საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN6

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

03 სექტემბერი 2024 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. დავით ცხადაძე, 4.ჯემალი ისაკაძე, 5. იზა მაგრაქველიძე; 6. გიორგი ბარათაშვილი ; 7. ნატალია ასათიანი, 8. ეკა ბერძენიშვილი; 9.ომარი ჯიხვაშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: კობა კაცაძე,რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით;

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ განსახილველად დაეწერა(17.07.2024 წ) სოფელ ოდილაურის მაცხოვრებლების განცხადება (ინიციატივა)-სოფელ ოდილაურის N9 ქუჩისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების შესახებ, სადაც განმცხადებელი ითხოვს საკითხის გადაწყვეტისათვის კანონმდებლონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, იურიდიულ საკითხთა კომისიამ უნდა შეისწავლოს განცხადების ფორმალური მხარე, დაადგინოს, რომ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები სრულად არის წარმოდგენილი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილებით დამტკიცებული,, მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი" და თუ დარწმუნდა, რომ წარმოდგენილი განცხადება პასუხობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

მომხსენებლის განმარტებით, კომისიის წინაშე წარმოდგენილია(ინიციატივას თან ახლავს) სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის მოსახლეობის თანხმობა ამავე ქუჩისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. თანხმობის ფურცელზე დატანილია მოსახლეობის ხელმოწერები,თან ახლავს სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის გავრცელების არეალის რუქა X და Y კოორდინატების მითითებით(ორთოფოტო);

მომხსენებელმა, სხდომის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიას მიმართა, რომ პროცედურა ითვალისწინებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვას და მიმართა შეკითხვით, როდის გაემართათ კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით იურიდიულ საკითხთა კომისია კონსულტაციებს გამართავს სოფელ ოდილაურის მოსახლეობასთან 2024 წლის 10 სექტემბერს 14 საათზე.

აზრი გამოთქვეს: ყველა ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ ინიციატივას;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. გამართოს კონსულტაციები იურიდიულ საკითხთა კომისიამ სოფელ ოდილაურის მოსახლეობასთან 2024 წლის 10 სექტემბერს 14 საათზე მე-9 ქუჩისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-12 მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 2. კონსულტაციის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობოს საკრებულოს აპარატს და საკითხის ინიციატორებს.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, რაც ითვალისწინებს, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ფრაქციას,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ნაცვლად ეწოდება ,, ახალი" .

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“განცხადება(30.08.2024),ფრაქციის ოქმი;

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვამს;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:
მუხლი 1. ცნობად უნდა იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტრაცია. კერძოდ, ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ ეწოდათ ფრაქცია ,,ახალი“.

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტრაციის ცნობად მიღების თაობაზე წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას ;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: